ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №38

27 თებერვალი 2023 წ.
13:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები-გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე,აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. №11-01230553534 საკრ.№15-03230561-03 25/02/23; №11-01230581676 საკრ.№15-15-032305856-03 27/02/2023წ

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ლევან მიქავას მოხსენებით, ნაძალადევის რაიონული გამგეობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე პროგრამაში „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 09) საქონელი და მომსახურების მუხლში წლიურ გეგმას ემატება 337 384 ლარი და პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 243410 ლარი, ხოლო მესამე კვარტლის გეგმა 93974 ლარი.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 05 01 09)- პირველ კვარტალს ემატება 190 000 ლარი, მეორე კვარტალს 40 000 ლარი, თანხის გადმოტანა ხდება მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

დიდუბის რაიონული გამგეობის მოთხოვნით, პროგრამის „გზების მოვლა და შეკეთება „ (პროგრამული კოდი 01 01 10) პირველ კვარტალს ემატება 250 000 ლარი, რაც გადმოაქვთ მეოთხე კვარტლიდან, ხოლო „კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/კოდი: 02 09 12) პირველ კვარტალს ემატება 165 000 ლარი.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი: 08 06 03) წლიურ გეგმას ემატება 322500 ლარი, თანხის გადმოტანა ხდება პროგრამიდან „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“ (პროგ/კოდი: 08 06 04).

პროგრამაში „ სპორტული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი:08 06 01) პირველ კვარტალს ემატება 800 000 ლარი მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.

წარმოდგენილია ასევე თბილისის საკრებულოს(პროგ/კოდი 10 01) მუხლობრივი ცვლილება. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში პირველ კვარტალს ემატება 37 500 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.

ინფრასტრუქტურული განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით „გზების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგ/კოდი 01 01 01) პირველ კვარტალს ემატება 1 000 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.

საერთო ჯამში გადასახედელებს პირველ კვარტალში ემატება 2879010 ლარი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მომხრე-7 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული განვითარების საქალაქო და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები, ნაძალადევის და დიდუბისის რაიონული გამგეობები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპლაიტეტის საკრებულო ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**